ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2898693

ნომერი: AR1449649

თარიღი : 18.10.2016

გაცემის თარიღი : 20.10.2016

გაცნობის თარიღი : 21.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

თბილისი, პუშკინის 5-7 ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მარტიაშვილი პ/ნ 01001014056
- თბილისი საბურთალოს ქ. N 42 კორ. 2 ბ. 30

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1449649 18/10/2016წ. განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, პუშკინის ქუჩა N 5-7-ის მიმდებარედ ღია სეზონური კაფის მოწყობას გაცნობებთ, დროებითი სტატუსის ღია კაფე გულისხმობს არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ მხოლოდ მაგიდა–სკამების, არსებობის შემთხვევაში ქოლგების და რიგი დეკორატიული ელემენტების განთავსებას ისე, რომ დაცული იქნეს ფეხითმოსიარულეთა

თავისუფალი გადაადგილებისთვის გამოყოფილი ტროტუარის ზომა მინიმუმ 1.80 მ–მდე. შესაბამისად საკითხის განსახილველად წარმოდგენილი უნდა იქნეს მაგიდა–სკამების განთავსების სრულყოფილი სქემატური ნახაზი ზომების მითითებით ისე, რომ გაითვალისწინებული იქნეს ფეხითმოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილებისთვის გამოყოფილი ტროტუარის ზომა. ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი სახით ყრუ ზღუდარის მოწყობა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ღია კაფეს საზოგადოებრივი სივრციდან გამოყოფა შესაძლებელია განხორციელდეს წერტილოვანი აქცენტებით (მაგ. დეკორატიული ქოთნებით). ასევე წარმოსადგენია გასწორებული ფოტომონტაჟი (ახლო მანძილიდან გადაღებულ ფოტოზე), სრულყოფილად დატანილი ზომებით, ტენტისა და ლაითბოქსის გარეშე, სადაც მითითებული იქნება თუ საიდან უნდა მოხდეს კაფესთან მომსახურეობა და ფართის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა; რაც შეეხება ტენტისა და სარეკლამო აბრის მოწყობას, საჭიროა საკითხი დააყენოთ ახალი განაცხადით tas.ge-ზე სადაც უნდა აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა I კლასის - მცირე არქიტექტურული ობიექტები და მიუთითეთ - „საჩრდილობლის მოწყობა და აბრებისა“ და „რეკლამის განთავსება“.

ამასთან გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, საკითხი უნდა განიხილოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი გადაწყდება დადებითად, დამატებით წარმოსადგენი იქნება შესაბამისი თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-დან იმ ფართის გამოყენებაზე, სადაც უნდა მოხდეს ღია საზაფხულო კაფის მოწყობა, ან უნდა მოხდეს ტერიტორიის იჯარის წესით აღება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.